საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2226-03
13/08/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020–2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილს №227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" 29-ე, 30-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 10 აგვისტოს N7011-35 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის 2020 წლის 10 აგვისტოს N7009-35, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის 2020 წლის 7 აგვისტოს N6981-35 სამსახურებრივი ბარათის, სამართლის სკოლის დეკანის 2020 წლის 7 აგვისტოს N6958-35 სამსახურებრივი ბარათის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 12 აგვისტოს N7156-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე ამ ბრძანების დანართში მითითებულ პროგრამებზე შესაბამისი პირობებით;
2. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიარონ რეგისტრაციის ბაზის საშუალებით შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters ქვემოთ მითითებულ თარიღებში:
   ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - 2020 წლის 14 აგვისტოდან 25 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით;
   ბ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - 2020 წლის 14 აგვისტოდან 29 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით;
   გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი - 2020 წლის 14 აგვისტოდან 25 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით;
   დ) სამართლის სკოლა - 2020 წლის 14 აგვისტოდან 26 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რეგისტრაციის ბაზაში შეყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობას იღებს მაგისტრანტობის კანდიდატი;

4. ფაკულტეტების/სკოლის დეკანებს დაევალოთ, 2020 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით გამოსცენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მაგისტრანტობის კანდიდატთა საგამოცდო და სააპელაციო პერიოდის და ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო, 31 აგვისტოს ჩათვლით - მიმღები კომისიების, საპრეტენზიო საბჭოების, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საგამოცდო და სააპელაციო შედეგების განთავსების ვადების და სხვა დამატებითი პირობების შესახებ;
5. დაუშვებელია მე-4 პუნქტში მითითებული საპრეტენზიო საბჭოები შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებაში;
6. ფაკულტეტებს/სკოლას და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ, განათავსონ ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღის, ადგილმდებარეობისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე არაუგვიანეს 31 აგვისტოს ჩათვლით, ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ბრძანებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.
7. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი, მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას, საგამოცდო და სააპელაციო პერიოდი განისაზღვროს 31 აგვისტოდან არაუგვიანეს 16 სექტემბრის ჩათვლით, ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ბრძანებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.
8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ, არაუგვიანეს 2020 წლის 17 სექტემბერს, უნივერსიტეტის ვებგვერდზე ერთი თვის ვადით (17 ოქტომბრის ჩათვლით) განთავსების მიზნით, მიაწოდონ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები - აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, მხოლოდ მაგისტრანტობის კანდიდატთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის, შეფასების, ფაკულტეტის/სკოლის და პროგრამის მითითებით;
9. იმ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება, დაიწყოს 2020 წლის 16 სექტემბრიდან და გაგრძელდეს არაუგვიანეს 22 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან 18:00 საათამდე ფაკულტეტების/სკოლის მიერ წინასწარ დროსა და განსაზღვრულ სივრცეში, ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ბრძანებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით;
10. მაგისტრანტობის კანდიდატმა ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის ბაზაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და დამატებით ქვემოთჩამოთვლილი დოკუმენტები, ასევე, თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი:
    ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი.
    ბ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უნდა წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობა, სადაც მითითებულ უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;

გ) ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით საბუთების მინდობილი პირის მიერ წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა;

დ) ფაკულტეტების/სკოლის მოთხოვნის შემთხვევაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი;

ე) 1 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4.

11. იმ შემთხვევაში თუ მაგისტრანტი ამ ბრძანების მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს, მისი ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ბათილი იქნება გამოცემის მომენტიდან;
12. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება და წარმოადგინეს ამ ბრძანების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
13. დაევალოს ფაკულტეტებს/სკოლას უზრუნველყონ სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტთა მიღების, გამოცდების პროცესის შესაძლებლობის ფარგლებში დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელება. ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტთა დაშვება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;
14. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ შესაბამისი ოთახის გამოყოფა მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდის ჩასატარებლად და მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად;
15. ფაკულტეტებს/სკოლას და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ, ამ ბრძანების მე-14 პუნქტში მითითებული ინფორმაცია განათავსონ უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
16. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ, ამ ბრძანების მე-14 პუნქტში მითითებული ოთახის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ კანცელარიას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს;
17. მაგისტრანტობის ის კანდიდატები, რომლებიც ამ ბრძანებით დადგენილ ვადაში არ გამოცხადებიან უნივერსიტეტში არ გაივლიან რეგისტრაციას და არ გააფორმებენ ხელშეკრულებას, კარგავენ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
18. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ, უნივერსიტეტის რექტორს 2020 წლის 28 სექტემბრამდე წარუდგინონ იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება და მათი კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი;
19. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ, უზრუნველყონ ამ ბრძანების მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, ამავე პუნქტში მითითებული ინფორმაციის ვებ-გვერდიდან აღების უზრუნველყოფის მიზნით იმგვარად რომ ის აღარ იყოს ხელმისაწვდომი ინტერნეტ სივრცეში 2020 წლის 18 ოქტომბრიდან;

20. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში შაბათ-კვირა გამოცხადდეს სამუშაო დღეებად;
21. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს ფაკულტეტების/სკოლის დეკანებს;
22. ფაკულტეტებს/სკოლას და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
23. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა, თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
24. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
25. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი